ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5524423

ნომერი: AR1774873

თარიღი : 14.07.2021

გაცემის თარიღი : 28.07.2021

გაცნობის თარიღი : 28.07.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქერჩის , N 12 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ქერჩის , N 12 , (ნაკვ.29/16) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ქერჩის , N 12 , (ნაკვ.29/37) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ქერჩის , N 12 , (ნაკვ.29/38) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ქერჩის , მიმდებარედ (ნაკვეთი 29/104);

დამკვეთი-განმცხადებელი
- მიხეილ ჩხაიძე პ/ნ 01008024556
- თბილისი ი.ქუთათელაძის ქ. N 1

ორგანიზაცია:
- ამფიონი კოდი: 205264603

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2021 წლის 14 ივლისის AR1774873 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ N 01.11.05.029.380 მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.
---. დეტალურად განიმარტოს ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ, 25.08.2015 წლის №2059623 ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობის (საცხოვრებელი, სავაჭრო, კომერციული) მშენებლობის მიზნით, ამჟამად კი ითხოვთ ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობისთვის, 2021 წლის 29 იანვრის N 27 განკარგულებით (პუნქტი 'ბ' და 'გ') კი პრეფერენციები გაცემულია კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების მიზნით.
1. არსებობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის (საპროექტო ტერიტორიის) ტოპოგრაფიული გეგმა, მასშტაბი 1:500 -> ტოპოგრაფიული გეგმის pdf ფაილი.:-> წარმოდგენილი ტოპოგრაფიული გეგმა არ არის მისაღები, რადგან ხელმოწერა კომპიუტერული მანიპალაციითაა შესრულებული. წარმოადგინეთ დასკანირებული ხელმოწერა.
2. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები ->ფოტოსურათების pdf ფაილი.:->დამატებით წარმოადგინეთ ეზოს მხრიდან გადაღებული ფოტოსურათები, თარიღის ფიქსაციით.
3. საინფორმაციო დაფა-ბანერი -> საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.: -> წარმოადგინეთ საინფორმაციო დაფა-ბანერის განახლებული ფოტოსურათი, გადაღებული შედარებით ახლო ხედით, თარიღის ფიქსაციით, უნდა იკითხებოდეს ბანერზე დატანილი ინფორმაცია.
4. საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთზე შენობის ან/და ნაგებობის განთავსების სქემა -> სქემის ელექტრონული ფაილი: №2059623 ბრძანებით შეთანხმებული და ამჟამად წარმოდგენილი განთავსების სქემა არ ემთხვევა ერთმანეთს, შეცვლილია კონფიგურაცია, დგინდება, რომ შეთანხმებულ ობიექტთან გაერთიანება ხდება. დეტალურად განიმარტოს ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ.
5. ამონაწერში ფიქსირდება შეზღუდვა დარეგისტრირებული მშენებლობის უფლების გარეშე, საჭიროა მოიხსნას ზემოაღნიშნული შეზღუდვა.
6. საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა გზის მოწყობასთან დაკავშირებით.
7. თბილისის ინტერაქტიულ რუკაზე (http://maps.tbilisi.gov.ge) ხაზობრივი ნაგებობების ფენაში ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობა -ბუნებრივი აირით მომარაგების შირითადი ქსელი. საჭიროა წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და შესაბამისად დამოწმებული გენგეგმა.
8. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გადის ხაზოვანი ნაგებობა ს/კ 01.00.996 (6-10 კვ. საკაბელო ხაზი, მესაკუთრე-სს „თელასი"), საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და მის მიერ გრაფიკულად დამოწმებული გენგეგმა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე.
აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2021 წლის 14 ივლისის AR1774873 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.